

პროგრამა - „კლინიკური ნეიროფიზიოლოგია/კლინიკური ელექტროენცეფალოგრაფია“  
სპეციალიზაციის მაძიებელთათვის  
დამტკიცებულია საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის 2015 წლის 30 მარტის №1-8/ნ ბრძანებით

## „კლინიკური ელექტროენცეფალოგრაფია“ სპეციალიზაციის მაძიებელთათვის 2023-2024 სასწავლო წელი

**პროგრამის ხელმძღვანელები:**  
სოფიო კასრაძე და ნანა ტატიშვილი

### პროგრამის შესახებ:

სასწავლო პროგრამა „კლინიკური ნეიროფიზიოლოგია/კლინიკური ელექტროენცეფალოგრაფია“ განკუთვნილია სერტიფიცირებული ნევროლოგებისთვის/ბავშვთა ნევროლოგებისთვის, რომლებსაც სურთ გაიღრმავონ თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები კლინიკურ ელექტროენცეფალოგრაფიაში, სასწავლო კურსისა და სასერტიფიკატო გამოცდების წარმატებულად დასრულების შემდეგ მიიღონ სერტიფიკატი „სპეციალიზაცია - კლინიკური ნეიროფიზიოლოგია/კლინიკური ელექტროენცეფალოგრაფია“.

### პროგრამის მიზანი

კლინიკური ელექტროენცეფალოგრაფიის სპეციალიზაციის მაძიებელმა ისწავლოს სტანდარტული ეეგ-კვლევის ჩატარების სპეციფიკა, ელექტროენცეფალოგრაფიული ჩანაწერის ინტერპრეტაციის საფუძვლები, გაეცნოს და შეისწავლოს ეეგ-კვლევის მნიშვნელობას ისეთი დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში როგორცაა ეპილეფსია, სხვადასხვა ეტიოლოგიის მწვავე და ქრონიკული ენცეფალოპათიები, ცერებროვასკულური და დეგენერაციული დაავადებები, თავის ტვინის ტრავმული დაზიანება, კომა და ტვინის სიკვდილი, ძილ-ღვიძილის ციკლის დარღვევები და დაავადებები.

### პროგრამის მოდულები

1. ელექტროენცეფალოგრაფიის ფუნდამენტური საკითხები - ფიზიოლოგია და პათოფიზიოლოგია
2. ეეგ-კვლევის კლინიკური ღირებულება/შეფასება მოზრდილებში
3. ეეგ-კვლევის კლინიკური ღირებულება/შეფასება ბავშვებში
4. ბავშვთა ასაკის ეპილეფსიები და ეეგ-კორელატები

5. მოზრდილთა ასაკის ეპილექსიები და ეეგ-კორელატები
6. პოლისომნოგრაფიის ფუნდამენტური საკითხები-ფიზიოლოგია და პათოფიზიოლოგია
7. პოლისომნოგრაფიის ჩვენებები ძილ-ღვიძლის ციკლის დარღვევების/დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში (ძილის ობსტრუქციული/ცენტრალური აპნოე, ინსომნია, ნარკოლეფსია და იდიოპათური ჰიპერსომნია, მოუსვენარი ფეხების სინდრომი, სწრაფი ძილის დარღვევები და სხვა პარასომნიები).
8. ეეგ - კორელატები ენცეფალოპათიების, კომური მდგომარეობის, თავის ტვინის ტრავმული დაზიანებისა და ეპილექსიური სტატუსის დროს.

## ტექნიკური აღწერილობა

### სწავლის ხანგრძლივობა:

სწავლის ხანგრძლივობაა 8 თვე, სწავლა დაიწყება 2023 წლის 6 -ოქტომბერს; 2023 წლის 30-დეკემბრიდან 2024 წლის 12-იანვრამდე იქნება არდადეგების პერიოდი. სწავლა იწარმოებს მოდულების მიხედვით. მაძიებელს სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის უფლება ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავლილი ექნება კურსის ყველა მოდული და სრულად ექნება დაფარული სწავლის საფასური.

კურსის მოდულების გავლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ პროგრამის ხემძღვანელი ორგანოს მიერ ოფიციალურად გამოცხადებულ პერიოდებში (რიცხვებში).

სასწავლო კურსის პედიატრიულ მოდულებს ნევროლოგები გაივლიან იაშვილის სახ. პედიატრიული კლინიკის ნევროლოგიურ/ნეიროფიზიოლოგიურ განყოფილებაში, ხოლო მოზრდილთა მოდულებს ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის ელექტროფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში.

თითოეული მოდული მოიცავს ლექცია-სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობას.

ლექცია/სემინარები და პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება ონლაინ რეჟიმში (გარდა ეეგ-გადაღების პრაქტიკული მეცადინეობებისა); კვირაში ერთი დღე - ერთი ლექცია (საღამოს 17:00-დან 18:00 საათამდე) და კვირაში ერთი დღე - ერთი პრაქტიკული (საღამოს 18:00-20:30). პრაქტიკულ მეცადინეობაზე ტუტორი მაძიებელს მიაწვდის საშინაო დავალებას, რომელიც უნდა შესრულდეს მომავალ პრაქტიკულამდე რათა შემდეგ პრაქტიკულზე მოხდეს დავალების ჯგუფური განხილვა.

ყოველი მოდულის დამთავრების შემდეგ, ტუტორის მიერ წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია კურსის ხელმძღვანელობასთან (დასწრება, წარმოდგენილი სამუშაო და ა.შ.) მაძიებელის მიერ განხორციელებული აქტივობების მიხედვით.

**სწავლების ენა:** ქართული, დამატებითი საკითხავი მასალა იქნება ინგლისურ ენაზე; სწავლის პროცესში საერთაშორისო ინგლისურენოვანი ტუტორის ჩართვისას, საჭიროების შემთხვევაში მოხდება პარალელური თარგმანი.

### მისაღები პროცედურები

პროგრამით დაინტერესებულმა პირებმა, საკონტაქტო მეილზე ([sofiakas@gmail.com](mailto:sofiakas@gmail.com)) უნდა გადმოაგზავნონ:

- განცხადება („მედიკოსთა დახელოვნების სკოლის“ დირექტორის, სოფიო კასრადის სახელზე)
- პირადობის მოწმობის ასლი,
- ნევროლოგის/ბავშვთა ნევროლოგის სერტიფიკატის ასლი,
- ავტობიოგრაფია (CV, სამუშაო ადგილის მითითებით,
- ელ-ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი

საბუთების მიღება დაიწყება **2023 წლის 05 სექტემბრიდან**; საბუთების მიღების ბოლო ვადაა **2023 წლის 05 ოქტომბერი**. სწავლა დაიწყება **2023 წლის 06 ოქტომბრიდან**.

კურსისთვის შეირჩევა მაქსიმუმ 12 აპლიკანტი, რომლებსაც კურსზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ეცნობებათ ელ-ფოსტით. თუ აპლიკანტების რაოდენობა გადააჭარბებს 12-ს, ისინი გადაეწერებიან მოსაცდელთა რიგში და სასწავლო პროცესში ჩაერთვებიან შემდეგ ეტაპზე.

**კურსზე ჩარიცხული სტუდენტების სია გამოქვეყნდება 2023 წლის 05 ოქტომბერს.**

### შერჩევის კრიტერიუმები:

- მოტივაცია
- ნევროლოგიური პროფილით მუშაობის მინიმუმ 3 წლის გამოცდილება
- სარეკომენდაციო წერილი.

**სწავლის საფასური:** სრული კურსი - 3,000.00 ლარი

### გადახდის გრაფიკი:

სწავლების თანხის გადახდა უნდა მოხდეს მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანით კურსის დაწყებამდე (06 ოქტომბრამდე).

დასაშვებია თანხის გადახდის შემდეგი ფორმატები:

ა) მთლიანი თანხის ერთიანად ჩარიცხვა (2023 წლის 15 ოქტომბრამდე);

ბ) ნახევარ-ნახევარი თანხის ჩარიცხვა

პირველი ნახევრის (1500 ლ) ჩარიცხვა 2023 წლის 15 ოქტომბრამდე;

მეორე ნახევრის (1500 ლ) ჩარიცხვა 2024 წლის 15 იანვრამდე.

მაძიებლის მიერ ლექციების გაცდენების შემთხვევაში გადახდილი თანხა უკან აღარ დაბრუნდება; დამატებითი ლექციის მოთხოვნის შემთხვევაში მაძიებელი გადაიხდის დამატებით საფასურს - ერთი ლექცია/სემინარი - 105 ლარი.

### საბანკო რეკვიზიტები:

კურსზე ჩარიცხულ მსმენელებს ეცნობებათ დამატებით

**გადახდისას, დანიშნულებაში აუცილებლად მიუთითეთ** - სახელი, გვარი - ევბ კურსის სწავლის გადასახადი.

### სერტიფიკატი

სწავლის წარმატებით დასრულების შემდეგ სერტიფიკატის მაძიებელს მიეცემა სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის უფლება.

სპეციალიზაციის „კლინიკური ნეიროფიზიოლოგია /კლინიკური

ელექტროენცეფალოგრაფია“ სერტიფიკატი მსმენელზე გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას

- გააჩნია ნევროლოგის/ბავშვთა ნევროლოგის სერტიფიკატი,
- აქვს მინიმუმ 3 (სამი) წლის პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება,
- გავლილი აქვს სასწავლო კურსის ყველა მოდული,
- სრულად აქვს გადახდილი სწავლის საფასური,
- სასერტიფიკატო გამოცდაზე მიიღო გამსვლელი ქულა.

*სერტიფიკატის მიღების წინაპირობა:* პროგრამის მანძილზე მსმენელს სრულად უნდა ჰქონდეს გავლილი ყველა მოდული, წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს მოდულების შესაბამისი პრაქტიკული სამუშაო, გამოცდაზე უნდა მიიღოს 75 და მეტი ქულა.

### საკონტაქტო პირი

სასწავლო კურსის კოორდინატორი - სოფიო კასრაძე

მედიკოსთა დახელოვნების სკოლა

მის: ვაჟა-ფშაველას 83/11, მე-3 სართული, 0186 თბილისი, საქართველო

ელ-ფოსტა: [sofiakas@gmail.com](mailto:sofiakas@gmail.com) ან [n\\_tatishvili@hotmail.com](mailto:n_tatishvili@hotmail.com)